

საქართველოს კანონი

„საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს
კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“

მუხლი 1.

„საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს
კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 1998 წელი - №11-12)
შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები:

1. მე-11 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ნამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

აღტერნატივა „1. ქალაქ თბილისის საკრებულო (შემდგომში -
საკრებულო) არის ქალაქ თბილისის თვითმმართველობის
წარმომადგენლობითი ორგანო, რომელსაც ირჩევს საარჩევნო უფლების მქონე
თბილისის მოსახლეობა ძრავადმანდაციანი იდეებითან მკორიტორკლო
წესით, პირდაპირი, თავისუფალი, თანასწორი და უარული კენჭისყრის
საფუძველზე.

2. მე-2 პუნქტი ნამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საკრებულოს არჩევის წესს ადგენს საქართველოს ორგანული კანონი
"საქართველოს საარჩევნო კოდექსი“.

2. მე-12 მუხლის:

ა) პირველი პუნქტის „ი“, „კ“ და „დ“ ქვეპუნქტები ნამოყალიბდეს
შემდეგი რედაქციით:

„ი. ქ. თბილისის მერის და ქალაქის მთავრობის სხვა თანამდებობის
პირების საქმიანობის კონტროლი; მერის ანგარიშების მოხმება და
შეფასება;

კ. ქალაქ თბილისის მერის არჩევა;

დ. ქალაქ თბილისის მთავრობის დადგენილებებისა და ქალაქ
თბილისის მერის განკარგულებების გაუქმება“.

ბ) ამოღებულ იქნეს მე-2 პუნქტი.

გ) მე-3 პუნქტი ნამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საკრებულოს განსაკუთრებულ უფლებამოსილებას განეკუთვნება
კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, წევრთა სიითი შემადგენლობის
უმრავლესობით, უნდობლობა გამოუცხადოს ქალაქ თბილისის მერს,
საკრებულოს წინაშე უნდობლობის საკითხის დასმის უფლება აქვს
საკრებულოს წევრთა სიითი შემადგენლობის არანაკლებ 1/3-ს.
უნდობლობის გამოცხადების შემდეგ ქალაქის მერი და ქალაქის მთავრობა
ითვლება გადაამდგარად და ასრულებს თავის მოვალეობებს ახალი მერის
ან მთავრობის შემადგენლობის ახალი წევრის დანიშვნამდე“.

დ) მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 და მე-5 პუნქტები:

„4. ქალაქის მერი, უნდობლობის გამოცხადების გარეშე ჩაითვლება გაყენებულად თუ ქალაქის საკრებულომ *ხელიხელ არაყურ არ დააძკიცა დელაქალაქის ბიუჯეტი*.

5. ქალაქის მერის გადაყენებიდან, გადადგომიდან ან უფლებამოსილების შეწყვეტიდან ერთი თვის ვადაში ქალაქის საკრებულო ირწევს ქალაქის ახალ მერს. თუ აღნიშნულ ვადაში ვერ მოხერხდება მერის არჩევა, მაშინ ამ ვადის გახვლიდან არა უგვიანეს 3 თვისა ინიშნება საკრებულოს რიგგარეშე არჩევნები.“

3. მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა. ქალაქ თბილისის მერის წინადადებით“.

4. მე-16 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საკრებულოში სამართლებრივი აქტის ინიცირების უფლება აქვთ საკრებულოს წევრებს, კომისიებისა და ფრაქციებს, ქალაქ თბილისის მერს, აგრეთვე ქალაქ თბილისის არანაკლებ 5000 ამომრჩეველს, შესაბამის პეტიციასზე ხელმოწერის გზით“.

5. 20-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საკრებულოს წევრს უფლება აქვს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ისარგებლოს ყველა ინფორმაციით, რომელიც აუცილებელია მისი უფლებამოსილების განსახორციელებლად; სათათბირო ხმის ეულებით დაესწროს ქალაქ თბილისის მთავრობის, მისი რაიონებისა და დაბა წყნეთის გამგებობათა სხდომებს, შეკითხვით მიმართოს საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს, ქალაქ თბილისის მერს, რაიონის (დაბა წყნეთის) გამგებელს, ქალაქ თბილისის მთავრობის სხვა წევრებს და მიიღოს მათგან შესაბამისი პასუხი. შესაბამისი ორგანო და თანამდებობის პირი ვალდებული არიან ერთი კვირის ვადაში უპასუხონ საკრებულოს წევრის შეკითხვას. საკრებულოს წევრის და არჩევითი თანამდებობის პირის უფლებამოსილება, საქმიანობის წესი და გარანტიები განისაზღვრება „ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონით და და სხვა ნორმატიული აქტებით.“

6. 21-ე მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ“ ქვეპუნქტი:

„გ) რიგგარეშე არჩევნების დანიშვნის შემდეგ ახლადარჩეულ საკრებულოს უფლებამოსილების ცნობისთანავე.“

7. 22-ე მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ქალაქ თბილისის მერი (შემდგომში - მერი) არის ქალაქ თბილისის უმაღლესი თანამდებობის პირი და მთავრობის ხელძღვანელი.“

~~მერი ირეკვა ქალაქის საკრებულოს მიერ საკრებულოს უფლებამოსილების
წადით, მერის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს საკრებულოს
წევრთა არჩევნებ 1/3-ს. მერის არჩევის შესახებ საკრებულოს
გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება თუ დაყენებულ წინადადებას
მხარს დაუჭერს საკრებულოს წევრთა ხოთი შემადგენლობის
უმრავლესობა."~~

ბ) მე-3 პუნქტის:

ბ.ა. „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ. თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს
ქალაქის მთავრობის წევრებს. მერიის აპარატის უფროსს და საქალაქო
სამსახურების იმ ხელმძღვანელებს, რომლებიც არ შედიან ქალაქ თბილისის
მთავრობის შემადგენლობაში;"

ბ.ბ. „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს.

ბ.გ) „პ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ქ“ და
„რ“ ქვეპუნქტები:

„ქ) უძღვება მთავრობის საქმიანობას, ანაწილებს ფუნქციებს თავის
მოადგილეებს შორის; თავმჯდომარეობს მთავრობის სხდომებს; მთავრობის
საქმიანობიდან გამოძღინარე, შეიმუშავებს და საკრებულოს წარუდგენს ქალაქ
თბილისის საკრებულოს სამართლებრივი აქტების პროექტებს;

რ) საკრებულოს წარუდგენს დედაქალაქის ბიუჯეტის პროექტს და
ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს."

გ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

~~„5. მერი თავის უფლებამოსილებას იხსნის და პასუხისმგებელია
ქალაქის საკრებულოს წინაშე. მერი ანგარიშვალდებულია ქალაქის
საკრებულოს წინაშე საკრებულოს წევრთა ხოთი შემადგენლობის 1/3-ის
მოთხოვნის საფუძველზე."~~

8. 23-ე მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ქალაქ თბილისის მთავრობა (შემდგომში-მთავრობა) შედგება: მერის,
მერის მოადგილეებისა და ქალაქ თბილისის ცალკეული საქალაქო სამსახურების
ხელმძღვანელებისაგან, თბილისის რაიონებისა და დაბა წყნეთის გამგებლები
თანამდებობრივად შედიან მთავრობის შემადგენლობაში;"

ბ) მე-3 პუნქტის ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. მთავრობის სტრუქტურა, უფლებამოსილება და საქმიანობის წესი
განისაზღვრება ამ კანონითა და ქალაქ თბილისის მერიის დებულებით,
რომელსაც დადგენილებით ამტკიცებს ქალაქ თბილისის საკრებულო."

9. ამოღებულ იქნეს 24-ე მუხლი.

10. 25-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 25. მერის მოადგილეები

1. მერის მოადგილეები.

2. მერის მოადგილეები ფუნქციათა განაწილების შესაბამისად
ხელმძღვანელობენ აღმასრულებელი ორგანოების კომპეტენციას მიკუთვნებულ

დარგებს; ამზადებენ და მერს წარუდგენენ წინადადებებს შესაბამის დარგებში გასაგარეველ ღონისძიებათა შესახებ; ორგანიზებას უწევენ და აკონტროლებენ საკრებულოს, მერის, და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებას."

11. 26-ე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია მერის წინაშე.“

12. 27 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 27. აპარატი

1. საკრებულოსა და მთავრობის საქმიანობას ორგანიზაციულად უზრუნველყოფენ საკრებულოსა და მერიის აპარატები. საკრებულოს აპარატის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საკრებულო. საკრებულოს აპარატის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საკრებულო.

2. აპარატის თანამშრომლებს - მრჩეველებსა და გექსიკურ პერსონალს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს შესაბამისად საკრებულოს ან მერიის აპარატის უფროსი.“

13. 28-ე მუხლის:

ა) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ქალაქ თბილისის თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების: საკრებულოს დადგენილების, მერის და გამგებლის ვაქანტაციების, საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელის ბრძანების მომზადების, მისების, გამოქვეყნების, მოქმედების, აღრიცხვისა და სისგებამაციის წესი განისაზღვრება ამ კანონით, საქართველოს დედაქალაქის-თბილისის საკრებულოს რეგლამენტით, მერიის დებულებით და სხვა აქტებით.“

ბ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

5. საკრებულოს, მერის, მთავრობისა და გამგებლის ნორმატიული აქტების ძალაში შედის დადგენილი წესით მათი გამოქვეყნების შემდეგ.“

14. 29 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ 2. გამგეობის უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება ქალაქ თბილისის მერიის დებულებით.“

15. 30 მუხლის:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. რაიონის გამგებელს (დაბა წყნეთის გამგებელს) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ქალაქის მერი.“

ბ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. გამგებელს აქვს გადადგომის უფლება. რაიონის გამგებელი თავის უფლებამოსილებას იხსნის და პასუხისმგებელია ქალაქის მერის წინაშე, დაბა წყნეთის გამგებელი თავის უფლებამოსილებას იხსნის და პასუხისმგებელია მერის წინაშე. გამგებელი ანგარიშვალდებულია მერის.“

16. 41-ე მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. ქალაქ თბილისის ბიუჯეტში არის სარეზერვო ფონდი, რომელიც, სმარდება გაუთვალისწინებელი ხარჯების დაფინანსებას. სარეზერვო ფონდის გამოყენების შესახებ ანგარიში შედის მერის ანგარიშში ბიუჯეტის შესრულების თაობაზე.“

მუხლი 2.

1. ეს კანონი ამოქმედდეს მისი მიღების შემდეგ ქ. თბილისის ახლადარჩეული საკრებულოს უფლებამოსილების ცხობისთანავე.

2. საკრებულოს მიერ ახალი დებულების დამტკიცებისთანავე ძალადაკარგულად წაითვალოს პრეზიდენტის ბრძანებულება საქართველოს დედაქალაქის-თბილისის მერიის დებულებისა და სტრუქტურის დამტკიცების შესახებ.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი